ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 16.02.2023 წლის №5/9145 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქი ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.05.23.753; ფართობი: 27 766.00 კვ.მ), შემდგომში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქი ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით)

პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 16.02.2023 წლის №5/9145 მომართვა, რომელიც შეეხება, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №03.05.23.753; ფართობი 27 766.00კვ.მ) უსასყიდლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მოგეხსენებათ, რომ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, ქალაქ ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა №53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №03.01.22.645) დაგეგმილია, დევნილთა განსახლების მიზნით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის წინაშე დაისვა გარკვეული წინადადებები, რომელთა თანახმადაც აღნიშნული უძრავ ქონების ტერიტორიაზე, მათ შორის ბიზნეს წრეების ჩართულობით, შესაძლებელია სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რაც ბუნებრივია, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტისა და შესაბამისად, სახელმწიფოს სოციალურ განვითარებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა დევნილთა განსახლების მიზნით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოჰყოს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №15ა-ს ჩრდილოეთით (ს/კ №03.05.23.753) მდებარე მიწის ნაკვეთი, რომლითაც ჩანაცვლდება ქალაქ ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა №53-ში (ს/კ №03.01.22.645) არსებული უძრავი ქონება. შესაბამისად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, ქალაქ ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა №53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №03.01.22.645) არ განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

ქალაქ ქუთაისის მუნისიპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის მიზნით, საკრებულო უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. 108-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქი ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი